



საქართველოს მთავრობის ბანკარგულება

№1445 2018 წლის 27 ივლისი ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 ივლისის №1393 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 ივლისის №1393 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ღია მმართველობის პარტნიორობის გლობალური სამიტის“ ორგანიზების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 მაისის №1201 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის

შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოუყოს 1 660 000 (ერთი მილიონ ექვსას სამოცი ათასი) ლარი.“.

პრემიერ-მინისტრი



მამუკა ბახტაძე